ცნობის ფურცელი

№ 2378 სამშაბათი, 13 იანვარი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2378

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში-უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გან. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

წარმ. 39.

ქართული თეატრი

სამშაბათს, 13 იანვარს 1904 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება **ნ. ჩხეიძის საბენეფისოდ**

მუშაკი და ნებიერი

დრამა 5 მოქ. ჟორჟ ონესი თარ. პ. ყიფიანისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. დავითაშვილი, ა. კარგარეთელი, ნებიერიძე, ნ. ჩხეიძე, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი: დ. ბაქრაძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, კ. მესხი, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი **აკაკი**.

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

სამშაბათს, 13 იანვარს, 1904 წ., წარმოდგენილი იქნება

ურიის ქალი

ოპერა 4 მოქ. მუს. გალევისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ენკვისტ, კარტავინა, ბ-ნნი რაისკი, სელიავინ, თულაევი, შმაკოვი, კლიუზნერ, ფედოროვი, გრინევი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ანონსი: 14 იანვ. ბენ. კალინინისა—„აიდა“. 15 იან. წარმოდგენა არ იქნება. 16 იან.—„პაიაცები“, საკონცერტო განყოფ. და ბალეტი „ჟიზელ“. (ნ.)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ჟიმინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ლ. ივ. კამოევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ვ. დ. ღამბაშიძე.—[illegible] და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

პრ. ვ. სობოლევსკი.—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათს 1—2 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებია და ბავშვების, კვირაობით 10—12.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკი ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

(კანისა და ვენერიული)

დილის 9—11 ს. საღამის 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123. (თვ.—10—2)

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ქუთაისში

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე, საღამოთი [illegible]—7 საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიპარმაკლიძისა. (0—ნ.—34)

კბილის ექიმი

ნ. ტყეშელაშვილი

ოლღას ქუჩა, № 31. იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე: დილის 9—1 ს., ნა [illegible] ს [illegible]-მდე. კვირაობით 10—[illegible]

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

ექიმი

ვ. დ. ღამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათ. ნიკოლოზის ქუჩა, სახლი № 46. წლ.

საზღვარ-გარედ

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

რუსეთისა და იაპონიის დიპლომატიური მოლაპარაკება

მოლაპარაკება მანჯურიისა და კორეის თაობაზე პირველად იაპონიამ დაიწყო. ზაფხულის გასულს იაპონიამ რუსეთს თავისი პირველი ნოტა ჩააბარა. რუსეთმა ოქტომბერში უპასუხა. ნოემბრის დამდეგს იაპონიამ მეორე ნოტა გაუგზავნა. რუსეთმა ამ ნოტაზე მეტად დააგვიანა პასუხი და როგორც იყო დეკემბრის ნახევარში ძლივს გაჰგზავნა საპასუხო ნოტა. იაპონიამ ისევ ხელად უპასუხა. რუსეთმა დეკემბრის გასულს ჩააბარა ამ ნოტის პასუხი; იაპონიამ საჩქაროთი შეადგინა საპასუხო ნოტა და რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრს ახალ-წლის წინა დღით ჩააბარა.

იაპონია იმ თავითვე თხოულობდა:

1. იაპონიას სრული უპირატესობა უნდა მიეცეს კორეიაში.

2. რუსეთმა ჩინეთის უმ[illegible] მანჯურიაზე უცილობლად უ[illegible] ა[illegible] და მთელი მანჯურია ულაპარაკოდ საერთაშორისო [illegible]

ფრანგული გაზ. „ტან“-ი იუწყება: რუსეთმა თავის უკანასკნელ ნოტაში მანჯურიის თაობაზე არაფერი არ უპასუხა იაპონიას, მხოლოდ გააგებინა, ყველა უცხო სახელმწიფოს უფლებას მანჯურიაში პატივისცემით მოვეპყრობით. კორეის თაობაზე-კი რუსეთმა მისწერა: სამხრეთ-კორეიაში (კორეიის სამფლობელოს ორ მესამედში) იაპონიას უპირატესობა მიეცემა, ჩრდილოეთი კორეია კი ნეიტრალურად გამოცხადდესო.

რა უპასუხა ამაზე იაპონიამ თავის უკანასკნელ ნოტაში? ინგლისური გაზ. „დეილი მეილ“-ი იუწყება; იაპონიამ უარ-ჰყო რუსეთის წინადადება, ჩრდილოეთ კორეიის ნეიტრალურ ადგილად გამოცხადებას არ დასთანხმდა და ისევ თავისი წინანდელი წინადადება წარუდგინა რუსეთს.

რით გათავდება ეს მოლაპარაკება? მორიგებით, თუ ომით? ამაზე ფრანგული გაზ. „ტან“-ში შორეულ-აღმოსავლეთის მცოდნე ბ-ნი ჟორჟ ვილიერი სწერს: სანამ მორიგე-[illegible] ოფიციალურად არ გამოაცხადებენ, ნუ[illegible] ვითომ რუსეთ[illegible]

„ამომავალ მზის ქვეყანაში“.

„სავაჭრო-სატელეგრაფო სააგენტო“-ს დეპეშით ატყობინებენ ტოკიოდან: „7 იანვარი. იაპონურმა გაზეთებმა დიდი ყურადღება მიაქციეს და მრავალი წერილი უძღვნეს იაპონიისა და ამერიკის სავაჭრო ხელ-შეკრულობის დამტკიცებას და სამის ნავთ-სადგურის გახსნას. გაზეთები ჰკითხულობენ, ნეტავ ეხლა რას იზამს რუსეთი; მუკდენისა, ანდუნისა და დადუნგოუს გახსნას რა თვალით შეჰხედავსო. იაპონიის მთავრობამ ეხლავე კონსულები უნდა გაჰგზავნოს ამ ქალაქებშიო.

როგორც ვიცით, რუსეთმა გამოუცხადა იაპონიასა და ამერიკას, უცხოელების ვაჭრობას მანჯურიაში პატივისცემით მოვეპყრობიო.

„ტაიმს“-ს დეპეშით ატყობინებენ ტოკიოდან: იაპონელმა ფინანსისტებმა ინგლისელ და ამერიკელ სამხედრო და საზღვაო აგენტებსა და გაზეთების კორესპონდენტებს დიდებული ნადიმი გაუმართეს. იაპონელმა ორატორებმა ნადიმის დროს სთქვეს: იაპონია საერთო ინტერესებისათვის იბრძვის და დარწმუნებულია, რომ ომის დროს ინგლისი და ამერიკა დახმარებას გაუწევენო.

სახელმწიფოთა შუამავლობა

ბერნის საერთაშორისო საზავო საზოგადოებამ ამას წინად ყველა სახელმწიფოს წინადადება გაუგზავნა, რუსეთსა და იაპონიას ჰააგის საზავო კონვენციის მე-2 მუხლის ძალით (ეს კონვენცია 1899 წ. დაიდვა) შუამავლობა გაუწიეთ, როგორმე მშვიდობიანად მოარიგეთ და საზარელი სისხლის ღვრა თავიდან აიცილეთო.

ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობამ უამისოდაც დიდი ყურადღება მიაქციეს ამ საქმეს, რუსეთისა და იაპონიის მორიგება მოინდომეს და ამ აზრით დიდი თათბირი და მოლაპარაკებაც გამართეს. „რეიტერის სააგენტო“ იუწყება: ლონდონი. 7 იანვარი. რუსეთის ელჩი, ამ ბოლოს დროს ხშირად დადის გარეშე საქმეთა სამინისტროში. დღესაც მოვიდა და სამინისტროში მთელი 45 წუთი გაატარა. ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრი ლორდ ლანსდოუნი გუშინ, 5 იანვარს, დიდხანს ეთათბირა საფრანგეთისა და იაპონიის ელჩებს.

ფრანგული გაზეთები იუწყებიან საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა დელკასემ მოლაპარაკება გამართა ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრთან, რუსეთსა და იაპონიას შუამავლობა გაუწიოთ და როგორმე მოვა-[illegible] ჰოლანდიიდან ზოგიერთ გაზეთს ცნობა მოუვიდა, ვითომ ჰოლანდიის პირველი მინისტრი კუპერი პეტერბურგს წასულიყვეს გასაგებად, დასთანხმდება რუსეთი შუამავლობას, თუ არაო.

ამ ცნობების თაობაზე იაპონიის ელჩს ბარონ გაიაშის ლონდონში ფრანგულ გაზ. „მატენ“-ის კორესპონდენტისათვის უთქვამს: მე არაფერი ცნობა არ მიმიღია ამ შუამავლობის შესახებ. მგონია, რომ ეხლა საქმე ისე გამწვავდა, რომ სახელმწიფოთა შუამავლობა გვიანღა იქნება. მაგრამ მაინც იმედი მაქვს, შორეულ-აღმოსავლეთში მშვიდობიანობა არ დაირღვევა.

გაზეთები მაინც დაჟინებით სწერდნენ, ინგლისისა, საფრანგეთისა და გერმანიის მთავრობა შუამავლობას გაუწევენ რუსეთსა და იაპონიასაო. ეს ცნობა შეიძლება სწორეც ყოფილიყვეს, მაგრამ ისიც ნამდვილია, რომ ამ შუამავლობამ, ჯერ-ჯერობით მაინც, ფუჭად ჩაიარა: გუშინდელმა დეპეშამ გვაცნობა, იაპონიამ უარ-ჰყო ინგლისისა, საფრანგეთისა და გერმანიის შუამავლობაო.

ინგლისელ ჟურნალისტის მეცადინეობა

ინგლისელი ჟურნალისტი „დეილი მეილ“-ი[illegible] აზრისაა, რომ კარგი იქნება, რუსეთმაც და იაპონიამ თავიანთი სადავო საქმე ჰააგისა მედიატორო სასამართლოს გადასცე „ტაიმს“-ი იუწყება: სტედმა ამის თაობაზე ქაღალდი დასწერა და ამ ჟამად პარლამენტის წევრებსა და სხვა გავლენიან კაცებს ხელს აწერინებსო. „ტაიმს“-ი უმატებს: ჰააგის კონვენციის ძალით, ის საქმეები, რომლებიც სახელმწიფოთა არსებით ინტერესებსა და ეროვნულ ინტერესებს შეეხებიან, სამედიატორო სასამართლოს არ ექვემდებარებიან. რუსეთ-იაპონიის დავაც სწორედ ამნაირი საქმეაო.

ციმბირისა და მანჯურიის რკინის გზები

მანჯურიიდან დაბრუნებულმა ინგლისელმა მოგზაურმა ბუშმა ლივერპულის სავაჭრო პალატაში საინტერესო მოხსენება წაიკითხა ციმბირის რკინის გზის სამხედრო მნიშვნელობაზე.

ინგლისელ მოგზაურის აზრით, ამ გზის სტრატეგიულ მნიშვნელობას ძლიერ აზვიადებენ. ამ გზაზე 32 კილომეტრიც მეტს საათში ვერც ერთი მატარებელი ვერ გაივლის. თუმცა ამ გზას მრავალი მარქაფა ლოტიც აქვს, მაგრამ თუ ერთბაშად ბევრს მატარებელს გაჰგზავნიან, ეჭვი არაა, მოძრაობა ხშირად შესწყდება, რადგან ამ გზაზე დიდი უწესოება ჰსუფევს.

ერთს იაპონელ ოფიცერს უთქვამს, თუ ომი მოხდა, მანჯურიის რკინის გზას თორმეტ ადგილას მაინც ავაფეთქებთო. ბუში დარწმუნებულია, რომ იაპონელები უსათუოდ გაამართლებენ ამ სიტყვას. ჩინელებს უთქვამთ ბუშისათვის, 200-ზე მეტი იაპონელი საპიორი-ოფიცერი მანჯურიის რკინის გზაზე უბრალო მუშასავით მუშაობს. ყოველი ამათგანი თავის დანიშნულ ადგილს აფეთქებს. დარწმუნებული უნდა იყვნეთ, რომ ომის დაწყების უმალ იაპონელი ოფიცრები მრავალ ადგილას დაანგრევენ მანჯურიის რკინის გზას და რუსეთის ჯარს ამით დიდს განსაცდელში ჩააგდებენო.

კამათი საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში

გეხსომებათ, რომ რამდენისამე თვის წინად პოლიცია ძალის-ძალით შეიჭრა პარიჟის შრომის ბირჟაში და ამაზე დიდი შეტაკებაც მოუვიდათ პოლიციასა და მუშებს. მთავრობა მაშინვე დაჰპირდა პალატას, ამ საქმეს დაწვრილებით გამოვიძიებთ და ყველა დამნაშავეს სასტიკად დავსჯითო. იქით კვირია პარასკევს მუშების დეპუტატები ბანიოლი და კუტაი პალატაში შეეკითხნენ მთავრობას, რა აღმოაჩინა გამოძიებამაო. ორმავე დეპუტატმა პოლიციის შეცდომები და ძალ-მომრეობა გაიხსენა და პარიჟის პრეფექტის ლეპინის ქცევა სასტიკად დაჰგმო. სოციალისტ-რევოლუციონერმა სემბამაც პროტესტი გამოაცხადა პოლიციის უწესო ქცევის წინააღმდეგ და დაუმატა: შრომის ბირჟის აივანიდან სხვა-და-სხვა ნივთებს პოლიციას მუშები-კი არა, ვიღაცა სხვა კაცები ესროდნენო. კომბმა უპასუხა: როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა, შრომის ბირჟიდან პოლიციას სხვა-და-სხვა ნივთები ესროლეს და პოლიცია მხოლოდ იმის შემდეგ შეიჭრა ბირჟაში, მაგრამ შერე-კი სულ უსაბუთოდ იარაღი იშიშვლა და მეტად უწესოდ მოიქცა. რომ გაგვეგო, რომელი პოლიციელები მოიქცნენ ასე უკანონოდ, უსათუოდ სასტიკად დავსჯიდით, მაგრამ გამოძიებამ, სამწუხაროდ, ვერ აღმოაჩინა [illegible]ნაშავე პირები. პოლიცია პრეფექტის [illegible]რგულებით არ შეჭრილა ბირჟაში. [illegible]რულ კომბმა სთქვა: მთავრობა მო[illegible] ყველგან წესიერება დაიცვას, მაგრამ [illegible] დროს მთავრობა მტკიცედ ადევნ[illegible] ყურს, რომ პოლიციამ თავისი ს[illegible] რულად შეასრულოს და ყველგან თავ-და[illegible] რიით და ზომიერად მოიქცესო. [illegible]

ადგინა: პალატამ მთავრობის მოხსენება მოისმინა და მორიგ საქმეთა განხილვას შეუდგება. სხვა დეპუტატებმაც თითქმის ამნაირი ნადადება შეიტანეს და რაკი კომბმა არც ით წინადადების წინააღმდეგ არა სთქვა-რა, ლატამაც 368 ხმის უმეტესობით 126 წინააღმდეგ ფერეტის წინადადება მიიღო. მარცხენა პარტიამ ძლიერი ტაშის ცემა ასტეხა, ზოგი ყვიროდა: „ფერეტის სამინისტროს გაუმარჯოსო!" მაშინ სემბამ წინადადება შეიტანა: პალატა ვს მთავრობას, გამოცემული კანონი და კრებისა და მოქალაქეთა უფლებანი ვასო. კომბი დაეთანხმა სემბას, პოლი ნამდვილად კანონი დაარღვიაო და პა დაჰპირდა, ამას იქით კანონებს სა ად დავიცავთო. რიბო საყვედურს უცხადებს მთავრობას: მინისტრები პასუხის გე გაურბიან და შინ თუ საზღვარ-გარედ ლკან სახელი გაუტყდათო. ორატორი თავს, პირველმა მინისტრმა გადაჭრით ქვას, პოლიციის პრეფექტ ლეპინის საქციელის პასუხის გებას ჰკისრულობს თავის თავ, თუ არაო. ამის შემდეგ რადიკალ-სოალისტმა მოყვანმა ამნაირი წინადადება ადგინა: პალატა მთავრობას ნდობას უცხადებს და მორიგ საქმეთა განხილვას შეუდგება. პირველი მინისტრი დასთანხმდა ამ წინადადებას და დაუმატა: თუ რესპუბლიკელთა მეტესობა მხარს არ დამიჭერს, ეხლავე სამ ხურიდან გადავდგებიო (მარცხენა პარტია ამს უკრავს). მოყვანის წინადება პალატამ 95 ხმით 234 წინააღმდეგ მიიღო.

კენჭის ყრის წინ კომბმა უთხრა ზოგიერთ უტატს, პოლიციის პრეფექტს ლეპინს გამოვცვლითო.

ახალი ამბავი

◆ როგორც მკითხველებმა იციან, ამა 04 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა ივნისს გამოცემული კანონი, რომლის ძალითაც **საფაბრიკო-საქარხნო და სამთამადნო დაწესებულებებს**, თუ ვინიცობაა ებს რაიმე უბედურება შეემთხვათ, ევალებათ დააკმაყოფილონ მუშის სახლობის რალი. გუშინ წინ ტფილისის საგუბერნიო საფაბრიკო, საქარხნო და სამთამადნო მრეწველო დაწესებულებათა საკრებულომ ბერნიაში არსებულ სამრეწველო საფაბრიკო და სამთო დაწესებულებების პატრონებს მიწერილობასთან ერთად დაუგზავნა აღნიშნულ კანონის თითო ცალი და დაავალა, თავიანთ სამრეწველოებში გამოჰკიდონ კანონის ფურცლები, რომ მუშებს შეეძლოთ გადათვალიერება და გაცნობა.

◆ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ ორჯელ აღძრა შუამდგომლობა საზღვარ-გარეთიდან სამეურნეო იარაღისა და **ვაზისა** და **სხვა მცენარეულობის ავადმყოფობასთან** საბრძოლ წამლების უბაჟოდ შემოტანის შესახებ. თუმცა საზოგადოებას ეს უფლება მოპოვებული ჰქონდა წარსულ 4 წლის განმავლობაში და იმის სახელით საზღვარ-გარეთიდან დიდ-ძალი სამკურნალო ნივთიერება იქმნა შემოტანილი, მაგრამ საზოგადოებას არავითარი სარგებლობა არ უნახავს. საქმე ის არის, რომ ამ შეღავათით ისარგებლეს კერძო ფირმებმა. საზოგადოებას რომ თავის საოპერაციო ბიუროსათვის დაევალებინა წამლებით ვაჭრობა, ფულს თვითონ მოიგებდა. საზოგადოება მოელის, რომ უმაღლესი მთავრობა ნებას დართავს კიდევ რამდენისამე ხნის განმავლობაში უბაჟოდ შემოიტანოს იარაღი და სამკურნალო ნივთიერებანი. საჭიროა, საზოგადოებამ ეხლა მაინც გამოიყენოს თავის სასარგებლოდ მოპოებული უფლება, მეურნეთაც საღი მასალა მიაწოდოს და თვითონაც სარგებელი აიღოს.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ 10 იანვარს განიხილა დადგენილება საგუბერნიო საქალაქო საქმეთა საკრებულოსი. ქალაქის საბჭომ ამას წინად დაადგინა **პრესსის 200 წლის იუბილეის** აღსანიშნავად ქალის სკოლებში სტიპენდიები დანიშნოს და მიხეილის სამკურნალოში ერთი საწოლი დაუთმოს ავადმყოფ მწერალს. ამასთან საბჭომ დაადგინა, სტიპენდიების დანიშვნა დაევალოს ქალაქის გამგეობას საბჭოს მიერ არჩეულ ორ ხმოსანთან ერთად. საკრებულომ ამ საგნის განხილვის დროს საბჭოს დადგენილება უკანონოდ იცნო იმ მოსაზრებით, რომ ქალაქის საქმეებს ჰმართავს გამგეობა და ხმოსნებს არ შეიძლება მიენდოთ გადაწყვეტილების ასრულება. საბჭოს შეუძლიან გამგეობის დასახმარებლად აირჩიოს მხოლოდ განსაკუთრებული კომისიაო. ამის გამო საკრებულომ გააუქმა საბჭოს დადგენილება. ქალაქის გამგეობამ 10 იანვარს განიხილა საკრებულოს გადაწყვეტილება და დაადგინა, წარუდგინოს იგი საბჭოს.

◆ მ. ჯანაშვილმა ამას წინად რუსულად გადასთარგმნა ვახუშტის მიერ შედგენილი **საქართველოს გეოგრაფია.** ამ ჟამად კავკასიის საგეოგრაფო საზოგადოების საფასით იბეჭდება ეს გეოგრაფია და მალე გასასყიდადაც გამოვა.

◆ ამ ბოლოს დროს **კავკასიის მეაბრეშუმენი** დარწმუნდნენ, რომ თუ აბრეშუმის თესლი სანდო ფირმებისაგან არ შეიძინეს, დიდი ზარალი მოუვათ. ამიტომ ეხლა სინიდისიერ ვაჭრებს და შემოწმებულ თესლს ეტანებიან. თვით ვაჭრებმაც ყურადღება მიაქციეს ამ გარემოებას და თავიანთ ინტერესების დასაცველად, როგორც გვატყობინებენ, დიდძალ თესლის წარდგენას აპირობენ შესამოწმებლად კავკასიის სააბრეშუმო სადგურში.

◆ ხანკენდიდან „კავკაზ"-ს შემდეგს ამბავს ატყობინებენ: 28 დეკემბერს 30 ყაზახი თავის უფროსის მეთაურობით დაედევნა **სპარსელ ყაჩაღებს.** ყაზახთა რაზმი მდ. არაქსს გავიდა, ტყვედ ჩაიგდო ყაჩაღთა ბრბოს წინამძღოლი, სპარსელი ხანი, მძიმედ დასჭრა იმის ძმა მოლლა, მოჰკლა ერთი ყაჩაღი, ტყვედ ჩაიგდო სამი სხვა სპარსელი და წაართვა ყაჩაღებს ორი ცხენი, თოფები, ხანჯლები, ხმლები და სხვა იარაღი.

◆ მიხეილ საბინინის ბიბლიოთეკა გადასასინჯავად დროებით გარდაეცა ბ-ნ მოსე ჯანაშვილს. ბ-ნს ჯანაშვილს საბინინის ბიბლიოთეკაში აღმოუჩენია სხვა და სხვა ფერადებით ნახატი სურათი ცნობილის **ისტორიკოს-გეოგრაფოსის ვახუშტისა.**

◆ კავკასიელ **სტუდენტთა დამხმარებელ** საზოგადოების გამგეობამ სთხოვა გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობას, გაუგზავნოს ის 500 მან., რომელიც ქალაქის საბჭომ საზოგადოებას დაუნიშნა.

◆ **ქართლ-კახეთის საეპარქიო საბჭო** კერძო სახლიდან (ოლგას ქუჩა) გადმოაქვთ სახელმწიფო სახლში (სასინოდო კანტორაში). მასთან მოთავსებული რედაქცია „სასულიერო მოამბისა" უკვე გადავიდა სასინოდო კანტორაში.

◆ გვთხოვენ დაბეჭდოთ: „მთაწმინდის მცხოვრებნი მეტად გაჭირვებულნი ვართ უწყლობითა და ხარჯის სიძვირით. რა დროსაც უნდა ჩაიართო „კრანთან", ყოველთვის შეხვდებით დედაკაცებისა და მეთულუხის ჩხუბსა და აურ-ზაურს. ზოგი ეხვეწება: „პავლე, შენი ჭირიმე, წყალი მომიტანე, სარეცხი მაქვსო; ზოგიც: „ხარჯი ვერ მომიხარშავს, წყალი არ მაქვსო". მაგრ პავლე მხოლოდ ილანძღება [illegible] უშვერ სიტყვებით. ამ უბნის ყასბებიც ხომ მეტად თ გასულები არიან. თუმცა ყოველ ხორცის დუქან ხორცი ხარისხებად არის დაყოფილი და ფასებ აღნიშნულია, მაგრამ არტალაშიაც ორ შაუ გვახდევინებენ. მეტად კარგი იქნება ამ გარემო ბას ქალაქის აგენტებმა ყურადღება მიაქციო აგრეთვე სასურველია, ყოველ კრანთან თვალ ჩინო ადგილას გამოკიდებული იყოს წყლის ნიხრ (დღეს კი ხდით თულუხში (10 ვედრო) ორ შ ურს) და მეთულუხეებიც გაფრთხილებულნი იყ ნენ, რომ ნიხრზედ მეტი არ აიღონ".

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ 10 ია ვარს განიხილა მოხსენება ლომბარდის გამგე ინსტრუქციის შედგენის შესახებ. გამგეობამ და დგინა, გადაეცეს გამგეობის წევრებს ამ საქმ შესახებ მთელი მასალა გასაცნობლად, შემდ განსაკუთრებული სხდომა დაინიშნოს არსებით განსახილველად და ინსტრუქციის პროექტის შ სამუშავებლად.

◆ ამას წინად ტფილისის საგუბერნიო მთა რობამ დაავალა ქალაქის გამგეობას, გაანთავისუ ფლოს ტფილისის სადამოქნო სამმართველო დ სათვისებელ გარდასახადისაგან. ქალაქის გამგეობ მიიღო გუბერნატორის მოწერილობა.

◆ ქალაქის იურისკონსულტმა სთხოვა ტფილი სის ქალაქის გამგეობას ცნობა დიდუბეში ქ ლორთქიფანიძის მიერ მითვისებულ მიწის რაო დენობის შესახებ სარჩელის აღსაძრავად. გამგეო ბამ დაადგინა, სარჩელის აღძვრის დროს იური კონსულტმა იხელმძღვანელოს კაზაროვსკის მიე შედგენილ გეგმით და სარჩელი აღძრას იმი წინააღმდეგ, რომელიც ამ ჟამად ჰფლობს ქალ ქის მიწას.

◆ სადგური წითა: 10 იანვარს, დილის 8 საათზ საქონლის მატარებელი № 155 მე-162 ვერს მოულოდნელად გაჩერდა, რადგან იმაზე მობმულ ერთ საქონლის ვაგონს ღერძი გაუტყდა და გზ დან გადავარდა. უბედურება კაცის თავს არა მ მხდარა-რა. მატარებელი 3 საათს გაჩერდა, რ შემდეგ წესიერი მიმოსვლა აღდგენილ იქმნა.

◆ ტფილისის ქალაქის მოურავმა წინადად მისცა ქუჩების მომკირწყვლელ კომისიას, შეუდ ეხლავე პოლიციის მე-7 ნაწილში ფალავან შვილის ქუჩის მოკირწყვლას. ამ ქუჩაზე ქალა სასწავლებელი არსებობს და მოსწავლეებს მე უჭირთ სიარული.

◆ დეკემბერში ტფილისში მეტად გავრცელ სხვა-და-სხვა გადამდები ავადმყოფობა. სასანიტარ სამკურნალო საბჭოს ცნობებით, დეკემბერში სუ ავად გამხდარა გადამდებ სენით 145 სული. აქედ 8 სული ყვაილით, 62—ყელის ჭირვებით, 42—ხ ნაგით, 1—სახადით, 5 წითელათი და სხვ.

◆

ფელეტონი

ტყვა-კაზმული მწერლობა 1903 წელს

(შემდეგი *)

კარგა ხანია, რაც ჩვენმა ბელლეტრისტებმა ვრცელ, დახლართულ შინაარსის მოთხრობებს თავი დაანებეს და მოკლე სურათების ხატვას მიჰყვეს ხელი. ეს სურათები აბეჭდილების მიხედვით უფრო პროზათ წერილს ლექსს წარმოადგენენ, ვიდრე ამბს. ჩვეულებრივ, ამ სახის ნაწერებში ერ ნაკლები ადგილი აქვს დათმობილი ტაზიის ნაყოფს და თითქმის მთელი გულისყური ავტორისა იმაზე არის მიპყრობილი, რომ კალმის თავისებურის, მხატვრულის მოსმით გადასცეს მკითხველს სულიერი ბილები. ასეთია, მაგ., ბ-ნ ვაჟა-ფშა „შვლის ნუკრის ნაამბობი", რომლის შინაარსი შესაძლოა მალე დავივიწყოთ, მაგრამ თვით ამ პატარა, პროზით წერილს ლექსს კი ვერ დაივიწყებთ, რადგანაც მძლავრი იყო და ღრმა მისი შთაბეჭდილება. გასულს წელს რამდენიმე ახალი რალი გამოვიდა სამხატვრო ლიტერატურის ასპარეზზე და იმათგან მომეტებულმა ილმა სწორეთ ამ გზაზე სცადა თავისი ო და ნიჭი.

ახალგაზრდა ბელლეტრისტთა შორის განსაკუთრებითის ყურადღების ღირსია ბ-ნი ყიფიანი. ერთის წლის განმავლობაში იანმა გამოაქვეყნა სულ ოთხი თა უდი: „მაძღარნი და მშიერნი", რისთვის"? „ზამთარი" და „ტყის ირველი და უკანასკნელი ეტიუდი მანეთს ამოუყენოთ გვერდში, გაი ყვით, დაუჯერებელია ორივე ვე ავტორის ნაწერი იყოსო. [illegible] ბოლომდე სავსეა შაბლონით, უხალისოთ იკითხება და გულს არა ჰხვდება. ამ ეტიუდით ბ-ნს ყიფიანს აზრადა აქვს მოგვცეს სურათი საზოგადოებრივის უსწორ-მასწორობისა, რომელიც ზოგს სიმდიდრის მორევში ახრჩობს და ზოგს სიღარიბის ცეცხლზე სწვავს. უმთავრესი მიზეზი, რომელსაც უნდა დაექვემდებაროს ის გარემოება, რომ თავის თავად სიმპატიური აზრი ავტორისა მკითხველს სრულიად არავითარს შთაბეჭდილებას არ აძლევს, ჩვენის ფიქრით, შემდეგია: სიღარიბე და სიმდიდრე—ცხოვრების მატერიალური მხარეა, ხელოვნება კი—ყოვლის უწინარეს გრძნობასა და ზნეობითს ვითარებაზეა დაფუძნებული. ვიდრე სიღარიბე ან სიმდიდრე ადამიანის სულიერს განწყობილებად არ იქმნება გადაქცეული, ვიდრე სიღარიბისა და სიმდიდრის აღწერილობა ადგილს არ დაუთმობს მდიდრისა და ღარიბის კაცის პსიხიურს, ზნეობითს არსებობას—შეუძლებელია ეს საზოგადოებრივი წყობილების კონტრასტი მწერალმა პოეტურ ნაწარმოებისთვის გამოიყენოს. ამ კონტრასტს, ამ უსწორ-მასწორობას დღეს ყველა ჩვენგანი ხშირად, თითქმის გამუდმებით, ჰხედავს; ჩვენი დროის აზროვნებისა და საზოგადოებრივ მოღვაწეობის დასაბამიც სწორეთ აქ იმყოფება, და აი სწორედ ამიტომ გვეჩვენება შაბლონურად გარეგანი დაპირისპირება სიმდიდრისა და სიღარიბისა. ჩვენთვის ეხლა საკმარისი აღარ არის მარტოოდენ ქონებრივის უთანასწორობის აღნიშვნა, თანამედროვე აზრი უფრო მეტს თხოულობს, გონება ღრმად უცქერის საზოგადოებრივ წყობილების დასაბამებს და იქ ეძებს ეხლანდელ ეკონომიურ მდგომარეობის ახსნას, თანამედროვე გრძნობას ზოგადი ფაქტი აღარ ამოძრავებს, იმისი ასპარეზი გაფართოვდა და იქ ეძებს საზრდოს, სადაც უკიდურესობამდე მიღწეული საზოგადოებრივი უსამართლობა ადამიანობას ჰსპობს კაცს, ამხეცებს და უფსკრულისკენ მიაქანებს.

ბ-ნ ყიფიანის მეორე ცდა პირველთან შედარები ბევრად ნაყოფიერი აღმოჩნდა. „რათა, რისთვის?" გაცილებით მაღლა სდგას, ვიდრე „მშიერნი და მაძღარნი". ამ სურათით ბ-ნი ყიფიანი ამტკიცებს, რომ იმას საკმაოდ განვითარებული აქვს დაკვირვების ნიჭი და გრძნობა ზომიერებისა. თემა ამ სურათისა ისევ საზოგადოებრივი უსამართლობაა, მაგრამ აქ ბ-მა ყიფიანმა უარჰყო შაბლონები, მეტი თავისუფლება მისცა საკუთარს შეხედულებას, გულახდილად გაგვიზიარა თავისი ფიქრები და სურათიც უკეთესი გამოვიდა. აღვნიშნავთ ყოვლის უწინარეს, რომ ბ-მა ყიფიანმა სულ სამს, ოთხს ფურცელზე მოთავსებულ ამბავში თვალ წინ დაგვიყენა სრულიად ახალი, ჯერ ჩვენის ბელლეტრისტებისაგან ხელუხლებელი ტიპი გონივრულად მოქმედი თავადიშვილისა. დღემდე ქართული მწერლები თავადიშვილს ისე არ ახსენებდნენ, რომ ფუქსავატობის, გულ ცალიერობის და უთავბოლო ფლანგვის ბეჭედი არ დაესვათ შუბლზე. მართალია, საზოგადოდ უზრუნველად ცხოვრებას ჩვეული თავადი ახალის ცხოვრების ზედ-გავლენით გათახსირების გზაზედ დადგა, მაგრამ ეს კიდევ იმას არა ჰნიშნავს, რომ ყველა ერთს ყალიბზე იყოს გამოჭრილი და არც ერთს თავადისშვილს ფიქრად არ მოსდიოდეს, თავის კერძო მოქმედება დროს შეუფეროს, ძველი წესი პატრიარქალურის არსებობისა შესცვალოს და ახალს გზაზე დადგეს. ბ-ნ ყიფიანის თავადი № უსწავლელი კაცია, მაგრამ გონება მახვილი აქვს და გული აღსავსე ენერგიით. მტკიცე ხასიათი თავადისა და ახალი დროის მოთხოვნანი ერთი-მეორის მტრები არ არიან, პირიქით, თავადმა იცის, რომ ახალ დროს აუცილებლად უნდა მოჰყვეს თან ახალი წესი ცხოვრებისა, იცის, რომ ბატონყმობის სამარცხვინო ნაშთს— [illegible] რობა!

რაც ადრე მოეღება ბოლო, მით უკეთე იქნება მისთვისაც და გლეხისთვისაც, ამიტომ თავის მეურნეობას თანამედროვე მრ წველობის სისტემაზე აწყობს. ბ-ნ ყიფიან თავადს მამულის საექსპლოატაციოთ კანტორ აქვს გამართული, საბუხჰალტერო წიგნებშ რიგზედა სწერს შემოსავალ-გასავალს, გლეხებს აიძულებს სამუდამოდ დაიხსნან თავ ბატონისაგან, რომელიც იმათთვის საყვარელი არსება არ უნდა იყოს, და ძალიან სწყინს, რომ ქართველი გლეხი მძიმე და ბეჯითი კონსერვატორია. პირველად ვხედავთ ჩვენს ლიტერატურაში ასეთს თავადის ტიპს, რომელიც იმავე დროს პირმშო შვილია სინამდვილისა. თუმცა დიდი მამულის პატრონები იყვნენ ერთ დროს თავადები, მაგრამ ისე უთავბოლოდ, რომ ჰფლანგავდნენ თავის ქონებას და ისე გამუდმებით ქეიფში რომ ატარებდნენ დროს, როგორც ჩვენი ბელლეტრისტები მოგვითხრობენ, აქამდე, უეჭველია, ყველა ცარიელ-ტარიელი იქნებოდა. ბ-ნ ყიფიანის თავადი ტიპიური წარმომადგენელია ძველის ფეოდალისა, რომელიც ჰგრძნობს, რომ ფეოდალობა აღარ ვარგა, და ახალ გზას იკაფავს საცხოვრებლად; თავადს კიდევ შერჩენია ძველი ჩვეულებები, იმას თავისი თავი მაინც და მაინც ბატონურის სიამაყით უჭირავს, გლეხთან ის ისევ მრისხანე ბატონია, რომელმაც დანდობა და შებრალება არ იცის; გლეხი იმისთვის ისევ ყმა და არა იმისი ტოლი პიროვნებაა, რომელსაც ყველგან ერთის პატივისცემით უნდა მოეპყრონ. თავადს ჰგონია, რომ გლეხის გალახვა—იმათთვის ჭკუის მასწავლებელია, თავადს ჯერ კიდევ ვერ მიუღწევ განვითარების იმ წერტილამდე, რომ გლ თან თავისუფალი, შეთანხმებაზე დამყარებ ლის პირობებით განსაზღვრული დამოკიდ ბულება იქონიოს, მაგრამ ის მაინც თავა ონ არის წასული და დღის თ აუცილებელი იქმნება ს